**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 186 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 186

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა.**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ, თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

12 აგვისტოს დილით სურამში გარდაიცვალა უდროოდ

**ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მარიამ სოლომონის ასული, შვილები: ალექსანდრა, ევგენი, გიორგი, ძმები ყარამანი** და **გიორგი თეიმურაზის ძენი.** ცხედარს წაასვენებენ ქუთაისის რკინის გზის სადგურზე შაბათს, 14 აგვისტოს, დილის 6 საათზედ. ამავე დღეს წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ ქუთაისის საკათედრო ტაძარში და გამოასვენებენ დასაკრძალავად. (2—1)

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია"

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія".

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА". (40—8). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითაშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

ს—უ—2.

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია აცხადებს

**სცენის მოყვარულთა**

## საყურადღებოდ,

რომ ვისაც სურვილი აქვს სახალხო თეატრს ემსახუროს, მობძანდეს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (3—უ—1)

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—2)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

## გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომში, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იმ ბანკში უძრავ დაგირავებულ მამულთა, რომელთა პატრონთაც არ შემოუტანიათ 1-ლს იანვრის 1904 წლის მათზედ დარჩენილი გადასახადი.

ქალაქის მამულებზედ საჯარო ვაჭრობა მოჰხდება 14-ს აგვისტოს, დაბა და სოფლებისაზედ—16-ს ამავე აგვისტოს.

მეორე ვაჭრობა დანიშნულია ორთავე რიგ მამულებზედ 31-ს აგვისტოს.

შემოსატანი ფული მიიღება საჯარო ვაჭრობის დღემდე ქუთაისის ბანკის კასაში, ტფილისში—სავაჭრო (საკომერციო) ბანკში, აზოვო-დონის სავაჭრო ბანკის განყოფილებაში და ა. ფრიდონოვის ბანკის კანტორაში, ბათუმში—სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ტფილისის სავაჭრო ბანკების განყოფილებებში და ფოთში—სავაჭრო ბანკში.

(3—6—3).

**პრინცესა მიურატის მამულების მმართველ ალექსი ნიკოლოზის ძის ბერიძისაგან.**

მთავრობის ნებართვით, სალხინოს სასოფლო საზოგადოების სოფელ სალხინოში მის ალმატებულების პრინცესა მიურატის მამულში იხსნება ყოველ წლივ ბაზარი 10 დღით, 25 აგვისტოდან 5 ენკენისთვემდე, ადგილობრივ სხვა და სხვა ნაწარმოების გასასყიდათ და გასაცვლელად და აგრედვე ადგილობრივ ჯიშის მსხვილ და წვრილ-ფეხ საქონლის გასასყიდად.

ბაზრის დაარსებას აზრად აქვს შეაძლებინოს ადგილობრივ მცხოვრებლებს თვის ნაწარმოებთა ადვილად გასაღება და გაუმჯობესობა საქონლის მოშენების.

წლევანდელს ბაზრობაზედ მისი ალმატებულება პრინცესა მიურატი ჰმართავს დამსწრეთათვის ბინებს მოწყობილებით და სხვა და სხვა გასართობ-სანახავებით ხალხისასთვის.

25 აგვისტოსაა ბაზრის გახსნა, სახალხო-საზოგადო თეატრი, წარმოდგენები დღისით და საღამოთი, დოღი კავკასიურ ყველა ჯიშის ცხენებისა ორი ვერსის მანძილზედ, ჯილდო 30 მანეთი. ჯირითი, ჯილდო 30 მანეთი. როგორც დოღზე ისე ჯირითში მსურველნი უნდა ჩაეწერნენ 25 აგვისტოს, საღამოს 8 საათამდე და მონაწილეობის მისაღებად შეშვებულნი იქმნებიან კომისიის ნებართვით. საღამოთი გაიმართება ჩირაღდანი და სადღესასწაულო სეირნობა.

26 აგვისტოს გაიმართება კავკასიული ჭიდაობა.

27 აგვისტოს დანიშნულია დოღი 12 ვერსის მანძილზედ, მიეცემა სამი ჯილდო 150 მანეთამდე. ჩირაღდანი და სადღესასწაულო სეირნობა.

28 აგვასტოს—ჭიდაობა კავკასიერ მოჭიდავეთა, სახალხო თეატრი და სეირნობა ბაზრობის გათავებამდე. ბაზრობის დროს დაუკრავს მუსიკა და კავკასიური ზურნა.

(2—2).

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—6-7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოჩინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს საზოგადოებას ... სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების შიკრიკი პორტ-არტურთან.—უცხოელ აფიცრების გაწვევა პორტ-არტურიდგან.—იაპონელების ტაქტიკა.—იაპონელების ინტელიგენტობა.—იაპონელების ცოდნა.

ტოკიოში შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოუქვეყნებიათ: ჩვენმა შიკრიკმა 3 აგვისტოს დილის 10 საათსა და 10 წუთზე, შუიშიანის ჩრდილოეთად, 500 მეტრის მოშორებით გარდასცა წერილი პორტ-არტურის მეციხოვნეთა შტაბის უფროსს. წერილი ამ შინაარსისა არის: 1) ჩვენის იმპერატორის კაცთმოყვარეობისა და სურვილით, ნება ეძლევა ყველა მანდილოსანს შვილებითურთ, მღვდლებს, სადიპლომატო კორპუსის მოხელეებსა და სანეიტრალო სახელმწიფოების აფიცრებს გამოვიდნენ პორტ-არტურიდგან. 2) პასუხი უნდა მოიტანონ 4 აგვისტოს დილის 10 საათამდე შუიშიანის ჩრდილოეთად, 500 მეტრის სიშორეზე. 3) პორტ-არტურიდგან გამოსულები უნდა მოვიდნენ თეთრის ბაირაღით აღნიშნულ ადგილს 4 აგვისტოს ნაშუადღევის 2 საათამდე. 4) ჩვენი ქვეითი ჯარიც ამავე ადგილს მივა თეთრის ბაირაღით და მოელოდება მგზავრებს. 5) ყველას შეუძლიან თავისი ბარგი წამოიღოს, რომელიც გაისინჯება, თუ საჭიროება მოითხოვს. 6) წიგნები, დაბეჭდილი ფურცლები, წერილები და დოკუმენტები ომის შესახებ ციხიდგან არ უნდა წამოიღონ. 7) მგზავრებს ჯარი მფარველობას გაუწევს და დალნიმდე მიაცილებს. 8) პასუხი გადაჭრილი უნდა იყოს, «ჰო» თუ «არა». ამ პირობების შეცვლა შეუძლებელია. (რ. ვ.).

—

ბერლინიდგან იწერებიან, ტოკიოდგან ცნობა მოვიდა, რომ იაპონელთა შიკრიკმა, რომელმაც პორტ-არტურის მეციხოვნეებს ნება-ყოფლობით დამორჩილება მოსთხოვა, გადასცა აგრედვე იმპერატორ ვილჰელმის ბრძანებაც, გერმანიის ელჩის შუამავლობით გამოგზავნილი, რომ პორტ-არტურში მყოფმა სამხედრო აგენტმა კაპიტან გოფმანმა და ლეიტენანტ გილჰენგეიმმა ეს ციხე-ქალაქი მიატოვონ. ეს ამბავი ოფიციალურის ცნობებითაც მტკიცდება. სხვა სახელმწიფოების სამხედრო აგენტებსაც ესეთივე ბრძანება მისვლიათ თავის მთავრობისაგან. საფრანგეთის ელჩი წამოსულა კიდეც. (რ. ვ).

—

ომის ველიდგან საყურადღებო წერილი მოგვივიდა, რომელიც ჩვენს მოწინააღმდეგეს ჩინებულად ახასიათებსო,—ამბობს «რუსსკ. სლოვო». რა საჭიროა, ცოდვა დავფაროთ? ამ მოწინააღმდეგეს რუსეთი სრულიად არ იცნობდა და ისე ეჩვენებოდა, როგორც ოპერეტის არტისტი, სასაცილო და სამასხარო საჩაიეს გმირი, ვიცოდით გეიში და ხარაკირი. საშინლად მოვტყუვდით თურმე. მტერი მთლად გვიცნობდა, სიგრძე-სიგანით, ჩვენ კი ეხლა გავიცანით ძალა-უნებურად, ჩვენის გვერდებით». კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ეხლა მაინც გავიცანით და ვიცით, როგორ უნდა გავუსწორდეთ.

აი, რას იწერება კორესპონდენტი:

არ შემიძლიან არ შევეხო იაპონელების ტაქტიკას. დიაღ, ძალიან ვსცდებოდით, როდესაც «იაპოშკას» ვუწოდებდით. ამისთანა დახელოვნებულ მოწინააღმდეგესთან არაოდეს არა გვქონია საქმე. იმათ თავის ტაქტიკაში განუხორციელებიათ ყოველი მოთხოვნილება სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნებისა და შეუხორცებიათ ხალხის ძალა-ხასიათთან.

მაგალითად, იაპონელებმა იციან, რომ კავალერია სუსტი ჰყავთ და მარტოდ არაოდეს არა გზავნიან; უკან უთუოდ

ქვეითს ჯარს აყოლებენ, რომელსაც ჩვენი მხედრები მოულოდნელად წააწყდებიან ხოლმე. თავის ჯარს გამოსაკვლევად ამ რიგზე ჰგზავნიან: მოდის ჯაჭვივით გადაბმული რაზმი მსროლელებისა, რომელთაგან მცირე ჯგუფები სადარაჯოდ ჩერდებიან. მსროლელთ წინ მიუძღვის, 5 ვერსის მანძილზე, კავალერიის რაზმები და სულ წინ-ჩინელი ჯაშუშები. ჩინელები მოდიან ჩვენ მოწინავე რაზმების ბანაკამდე, ათვალიერებენ ყველაფერს და ანიშნებენ მოწინავე კავალერიის რაზმს, სად და რავდენი ჯარი გვყავს.

რადგან ომის ველი მთა-გორებსა და ხეობებს წარმოადგენს, იაპონელები მეტად წყნარად მოდიან, დღეში 7 ვერსზე თუ წამოიწევენ და შეჩერდებიან გასამაგრებლად. თითქმის ყოველ ნაბიჯზე საჩქაროდ თხრილებსა და სანგრებს აკეთებენ. ამ რიგად თავისი გზა სულ გამაგრებული აქვთ, რომ უკან დაწევის დროს საიმედო საფარი ჰქონდეთ. რადგან სარდლებმა კარგად იციან თავის სალდათების ხასიათი, რომლებიც გატაცებით და თავდაუზოგველად მიისწრაფიან წინ, და ამიტომ თავს უჭერენ, ვიდრე თავის ბანაკს რიგიანად არ გაამაგრებენ. იმათ მოქმედებას რომ კაცმა უყუროს, იფიქრებს, ამაზე მძიმე და დარბაისელი ხალხი არ იქმნება დედამიწაზე,—ისე შეუგნიათ და შეუთვისებიათ სამხედრო ხელოვნება და ეხლანდელის იარაღის დროზედ მოხმარება. ხიშტით ბრძოლას ისინი ერიდებიან და ამ გვარად იქცევიან, როცა მტერი უახლოვდება: წინა რიგი ქვეითის ჯარისა აქედ-იქით ორს მხარეს გაიწევს და შუაში ზარბაზნებს გამოაჩენს, რომლებიც სროლას ასტეხენ. ამ დროს ქვეითი ჯარი არტილერიას უკან ამოუდგება, როგორც სათადარიგო ჯარი. თუ რომ არტილერიამ მტერი ვერ შეიმაგრა, ქვეითი ჯარი იმავე წესით წინ წაიწევს და მტერს შეებმება. უნდა ნახოთ, რა მტკიცედ უჭირავთ თავი, რა დისციპლინა სუფევს, რა რიგად ყველა გრძნობს თავის ძალ-ღონეს.

როდესაც წინ მოდიან, სწორედ სამაგალითოდ მოქმედობენ. ვერა შემთხვევა იმათ ვერას ავნებს. მოწინავე და დამხმარებელ რაზმებს გარდა, დარაჯები მთა-მთა მიდიან, რომლებიც მთის მწვერვალებიდგან მტერს დაჰყურებენ. მართალია, ამ წესით ჯარი ნელა მიიწევს წინ, მაგრამ უფრო გულ დადინჯებულია. მთაში ბარგი ურმებით არ მიაქვთ. ამისათვის ჩინელი მუშა-ყულიები ჰყავთ დაქირავებული, რომლებიც ჯაშუშობასაცა სწევენ...

ბრძოლის დაწყებამდე ხშირად შენიშნავთ, რომ მთა-მთა ჩინელები მიდიან ცალ-ცალად, ერთი ერთმანეთზე მოშორებით. უცებ ჩინელები შეჩერდებიან. ამ დროს იაპონელები საშინელ სროლას ასტეხენ და სწორედ იმ ადგილს დაუშენენ, სადაც რუსის ზარბაზნებია მიმალული. ეს ჩინელების წყალობაა, რომლებიც რაღაც ნაირად სწორედ და უცდომლად ანიშნებენ, სადაც არის რუსის ჯარი.

აი, რა გარემოებაში ომობენ რუსები. ეს ჩინელი ჯაშუშები სწორედ ღვთის რისხვაა. ისე დაიპარებიან, რომ ვერ შენიშნავ და ვერ მიუხვდები დღეს ის მშვიდი მანძაა—მშრომელი გლეხი, ხვალ კი ხუნხუზად გადიქცევა. ისე მალე იცვლის ფერს, რომ სწორედ გასაოცარია (რ. სლ.).

—

«რუს. ინვალიდში» ბ-ნი კრასნოვი სწერს:

დიაღ, ღირსეული მტერი გამოგვიჩნდა, კარგი მტერი! რუსის სალდათს არ უნდა ერცხვენოდეს, რომ ამისთანა მტერს ეომება. პირიქით, მისი დაჩაგვრა რუსეთის ლაშქრის სახელს უფრო აამაღლებს. ის ოსმალოზე მძლავრია, დასავლეთ-ევროპიელზე დარბაისელია. ხოლო მისი დამარცხებაც შეიძლება და რუსის სალდათი მიხვდა კიდეც, როგორ უნდა დაამარცხოს...

იაპონელ სალდათის ძალა—მისი ინტელიგენტობა და მისი განვითარებაა, მის ხელოვნურ გაწვრთვნაშია. იმან კარგად იცის თავისი მოვალეობა, თავისი საქმე შეგნებული აქვს. ეს ცოტაა. იმან საერთოდ კარგად იცის ამ ომის აზრი და იაპონიის განზრახვა. და არა მარტო მეომარმა იცის, არამედ ყველა იაპონელმა. გვიშამ, საჩაიეს პაწაწა გამრთობმომრთმევმა, სკოლის მასწავლებელმა, შვილებმა, მამებმა და დედებმა კარგად იციან, რომ შეურაცხყოფილი იაპონია თავის უფლებათა აღდგენისათვის იბრძვის. იაპონელ სალდათს ინტელიგენტობა ყველაფერში ეტყობა. ამ მხრივ ჩვენი სალდათი ძალიან დაქვეითებულია. ჯარის კაცი სულ «რა მოგახსენოთ»-ს გაიძახის და სათადარიგო რაზმში მყოფი ხომ «არ ვიცად» არის გადაქცეული.

იაპონელები, კარგა ხანია თურმე, რუსულსა სწავლობენ. ტოკიოში რუსულ ენის სკოლა 1885 წელს დაარსებულა, სადაც ეხლა რუსულს სამი იაპონელი ასწავლის, რომელთაც ეს ენა რუსეთის სასულიერო სემენარიებში შეუსწავლიათ. ეხლა იაპონიაში 15 სხვა-და-სხვა ხასიათის სკოლა არის, სადაც რუსულს ასწავლიან.

ამავე ენას ასწავლიან მართლ-მადიდებელთა მისსიის სკოლებში, სადაც ქალებიცა სწავლობენ და კაცებიც. შარშან ამ მისსიის სკოლებში 38 მასწავლებელი იყო რუსულის ენისა. მათგან ხუთს კაცს ჩვენს სასულიერო აკადემიაში დაუმთავრებია კურსი.

რუსეთში კი განსაკუთრებული სკოლა არ არსებობს იაპონურ ენისა, რომელსაც მხოლოდ სხვათაშორის ასწავლიან აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე პეტერბურგში და აღმოსავლეთის ინსტიტუტში.

ჩინეთშიაც 17 სკოლაში ასწავლიან რუსულს.

საერთოდ ჩვენი მეზობლები უფრო კარგად გვიცნობენ, ვიდრე ჩვენ იმათ. ჩვენ მოწადინებულნი ვართ შორეულ აღმოსავლეთს წინამძღოლობა გავუწიოთ და თარჯიმანების მეოხებით კი ვმოქმედობთ. დღეს ყველამ კარგად იცის, რა მნიშვნელობა აქვს თარჯიმანების შუამავლობას კავკასიასა და შუა-აზიაში. ადვილი წარმოსადგენია, რავდენად გამოსადეგია თარჯიმანი, როდესაც გინდა დიდი საპოლიტიკო პროგრამა განახორციელო უცხო მხარეში. (პრავ. ვესტ.).

# ტფილისი

—

მკითხველთ სასიხარულო ამბავი უნდა ვაუწყოთ: მთავრობამ ნება დართო ქართულ საყმაწვილო ჟურნალ «ნაკადულის» გამოცემისა და კავკასიის საცენზურო კომიტეტს უკვე მოუვიდა ამის შესახებ მოწერილობა. ჟურნალი გამოვა თვეში ორჯერ. ჟურნალის რედაქტორად იქმნება კნ. ელისაბედ დავითის ასული ერისთავისა, ხოლო გამომცემლად კი—კნ. ნინო ქობულაშვილისა.

*** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ა. გალაჯაშვილი-ვაჩნაძე ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიიწვია სტამბოლში არსებულ რუსთა სკოლის დირექტორად, ბ-ნ ჯაყელის მაგიერ, რომელიც უმაღლესს თანამდებობაზედ იქმნა დანიშნული სტამბოლის რუსეთის საელჩოში.

*** ლეიპციგის სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში ამ ჟამად 17 ქართველი-სტუდენტი სწავლობს თურმე.

*** მოსკოვის უნივერსიტეტში განთავისუფლებულა ტფილისის მცხოვრებელ ღარიბ სტუდენტისათვის ერთი ვაკანსია განსვენებულ ამიროვის სახელობის სტიპენდიისა. სტიპენდიატს წელიწადში ეძლევა 40 მან.

*** გუშინ-წინ ტფილისიდგან კოჯორს დაბრუნდა მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი, ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე.

*** დღეს, 13 ივლისს, კრება ექმნება საგუბერნიო სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიას.

*** 10 აგვისტოს, ღამით სახალხო მატარებლით (№ 6), ამიერ-ბაიკალის გზაზედ გაჰგზავნეს სამგზავრო მატარებლის 14 ობერ-კონდუქტორი, 14—საქონლის მატარებლის კონტუკტორი და 65 ალაყის (ტორმოზის) მომჭერი კონდუქტორი. ამათში 30 კაცი ქართველია.

*** გუშინ-წინ, 11 ივლისს, ტფილისიდგან კიდევ გაჰგზავნეს იმიერ-ბაიკალის რკინის გზაზედ 14 ობერი, 14 საქონლის მატარებლისა და 1 უმცროსი კონდუქტორი ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

*** ტფილისის მეოთხე დედათა გიმნაზიის უფროსმა გუშინ-წინ სთხოვა ქალაქის გამგეობას, შეაკეთეთ სეკდემბრამდე ანასტასიის ქუჩა, რომელიც მეტად მინგრეულ-მონგრეულიაო და ამ გიმნაზიის მოწაფე-ქალებს სიარული უჭირთ, მეტადრე ავდარშიო.

*** ტფილ. სახაზინო პალატის მმართველის თანაშემწე ა. ა. მიხაილოვი დანიშნულ იქმნა ბაქოს სახაზინო პალატის მმართველად.

*** ტფილ. ქალაქის გამგეობამ უკუ-რადღებოდ დასტოვა ტფილ. პოლიცმეისტრის შუამდგომლობა პოლიციის მე-4 ნაწილის სადგომის გასაფართოვებლად ფულის გადადებისა.

*** კავკასიის გრენადერთა დივიზიის შტაბის უფროსმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რადგან 15 აგვისტოდგან ტფილისის მახლობლად კავკასიის ჯარები საალღუმოდ იყრის თავს, დაუყოვნებლივ მოახდინეთ განკარგულება, რომ დიდუბიდგან ალექსანდერსდორფის ახალშენის გზის შეკეთებას ეხლავე შეუდგნენო.

*** 1-ლ სეკდემბრიდგან ტფილისში არსდება ბავშვთა თავშესაფარი, ქალთა და ვაჟთათვის; თავშესაფარში მოათავსებენ იმათ ობლებს, რომელნიც რუსეთ-იაპონიის ომში დაიღუპნენ. თავშესაფარში 50 ადგილი იქმნება.

*** მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი: «თხზულებანი ნ. ბეგიტიშვილისა», წიგნი I-ლი. წიგნი შეიცავს 64 გვერდს და ჰღირს ერთ აბაზად. წიგნი ძლიერ ფაქიზადაა გამოცემული.

# საქართველოს ამბები

—

როგორც ვიცით, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა შუამდგომლობდა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში მე-5 კლასის დაარსებისათვის. სამოსწავლო მთავრობას, როგორც გადმოგვცეს, შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა და დამდეგ სამოსწავლო წლიდგან დაარსდება კიდეც ამ სასწავლებელში მე-5 კლასი.

◆ როგორც «ცნ. ფურ»-ს ატყობინებენ, იმერეთსა და, განსაკუთრებით, გურია-სამეგრელოში ამ ჟამად ნამდვილი შიმშილობა ყოფილა. ფუთის სიმინდის ფასს 1 მან. 30 კაპ. აუწევია, მაგრამ ამ ფასადაც კი ძნელი საშოვარი ყოფილა. ცუდის ამინდის გამო, სამწუხაროდ, წლის მოსავალი ძლიერ დაგვიანდება და შესაძლებელია, სიმინდის ფასმა უფრო აიწიოს.

◆ იმავე გაზეთს სოფ. ახალ-ქალაქიდგან (გორის მაზრა) ატყობინებენ, რომ კვლავ დაიწყო მოქმედება აქაურმა სასოფლო შემნახველ-გამსესხებელმა ბანკმაო. ეს ბანკი სწორედ ცხრა წელიწადია რაც აღარ მოქმედებდა. ამ დღეებში ახლად არჩეულს გამგეობას ამხანაგობის წევრებთან მოლაპარაკება ჰქონდა ხელახლად გამოცოცხლებულ ბანკის საქმეთა გაუმჯობესობის შესახებ.

◆ თელავიდგან «ნოვ. ობოზრენიეს» ატყობინებენ, რომ წინანდალის საუფლისწულო მამულში ივლისის უკანასკნელ რიცხვებში 20 კაცი გამხდარა ავად დიზენტერიით და ორი მათგანი უკვე გარდაცვლილა.

◆ 7 აგვისტოს ახალ სენაკში დაბრუნდნენ ადგილობრივის სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი, რომელნიც მოსკოვს იყვნენ ექსკურსიად.

**სოფ. ვალე.** (ახალციხის მაზრა). აქ ბევრი ბაღ-ბოსტანია. სოფელი დიდია, 140 კომლი; სარწმუნოებით კათოლიკენი (70 კომლი), მაჰმადიანნი (40 კომ.) და მართლმადიდებელნი (30 კომ.) სულ ქართველები არიან, ერთ-სისხლ-ხორცისა და მეტად მშვიდათ და წყნარად ცხოვრობენ, ურთ-ერთობაში არავითარი შური და მტრობა არა აქვთ, რაიცა სხვაგან იშვიათია.

ვალელები მეურნეობენ: ჰხნენ და სთესვენ სიმინდს, პურსა, აშენებენ ბაღებსა; მისდევენ უფრო მხალს, ვაშლს და ჰანჭურს. ბოსტნეულობაში ლახანა-კართოფილს გაცილებით მეტსა სთესვენ და კარგის თვისებისაც მოდის; აქაურ ლახანა-კართოფილით ივსება ტფილისი, ქუთაისი ბათომი და საქართველოს სხვა ქალაქები, მეტი ფასიც აქვს, ვიდრე ყირიმის კართოფილსა და გორის ლახანასა.

სწავლა განათლებით კი ჩამორჩენილნი არიან ბევრს მეზობელ სოფლებს. დღემდე არავის უფიქრნია ამ სოფელში სამინისტრო სკოლის დაარსება. სოფ. უდეში კი დიდი ხანია არსებობს სკოლა. უდემ სამკითხველოც მიიმატა და ვალეს კი სკოლაც არა აქვს.

მართალია, აქ კაი ხნიდგანვე ქრისტიანობის აღმდგინებელ საზოგადოებას სკოლა არსებობს, მაგრამ ეს სკოლა სკოლობას ვერ უწევს კათოლიკეთა.

ზამთარში ახალმა მღვდელმა მამა ნათენაშვილმა მოისურვა დაეარსებინა ცალკე სკოლა მაგრამ ვერ მოახერხა. ისინი გადაელობნენ წინ, ვისაც დახმარება უნდა გაეწია.. ახალგაზდა მღვდელს შეშინებოდა და უკუმდგარიყო თავის აზრისაგან და ასე ხელი შეუშლიათ კეთილ მოღვაწე ღვთისაგან გამოგზავნილ ადამიანისათვის და საქმე ჩაუშლიათ.

კარგი იქმნება მამა ლაზარე (ახალციხის მოძღვარი, რომელიც იმავე სოფლიდგან არის) ითავებდეს სამინისტრო სკოლის დაარსებასა ვალეში, დაადგენინებდეს მკვიდრთ განაჩენს და წარადგენდეს, სადაც ჯერ არს.

მესხი პ. გვარამაძე.

## ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა.

(შემდეგი *)

ადამიანს აქვს მრავლად უკვე დამზადებული ლობეები, გალიები, რომლებშიაც მოემწყვდევიან ხოლმე ჭლექის ბაცილები და ხდებიან იქ უვნებელნი, სანამ თვით ეს გალიები არ გაფუჭდებიან და გაირღვევიან. ეს გალიები არიან ჰირკვლები.

ჰირკვლები მრავლად აქვს ადამიანს სხეულის სხვა-და-სხვა ნაწილებში, მუცელს შიგნით, წელების ძირში, მკერდ შიგნით, ფილტვებს გარშემო, ყბებ ქვეშ, კანს ქვემოდა და სხ. ამ ჰირკვლების დანიშნულებაა, რაც ადამიანისთვის მავნებელია, დაიჭირონ, დაამწყვდიონ და გადაარჩინონ სხეული განსაცდელს.

*) იხ. «ივერია» № 184.

# ფელეტონი

—

## ფიქრი და შენიშვნა.

### V *)

როგორც ყოველ ნაწილში რუსეთის იმპერიისა, ამიერ-კავკასიასაც, რაღა თქმა უნდა, თავისი წილი შეაქვს სახელმწიფო ხაზინაში და მთავრობაც ხარჯავს ყოველ წლივ აქაურ გუბერნიებზე ერთს წილს სახელმწიფო შემოსავლიდამ; ხარჯავს ადგილობრივ მართვა-გამგეობაზე, გზებზე, ჯარის შენახვაზე, სწავლა-განათლებაზე და სხვ. რომ ავიღოთ რუსეთის იმპერიის ესა თუ ის გუბერნია, ესა თუ ის ნაწილი სახელმწიფოსი, ვნახავთ, რომ ზოგან ხარჯი მეტი აქვს მთავრობას, ვიდრე შემოსავალი (ასეთი გუბერნია 30-ზე მეტია), ზოგან შემოსავალი სჭარბობს, ან ერთი მეორეს უდრის დაახლოვებით. ეს მეტნაკლებლობა დამოკიდებულია ყველაზე უფრო ადგილობრივ წარმოების რაოდენობაზე (შემოსავალი) ერთის მხრით, —მეორით კი მთელ სახელმწიფოს ადგილობრივ ინტერესზედ, რომლის მიხედვით მეტი, თუ ნაკლები ხარჯი მოსდის ხაზინას ამ გუბერნიაში, ან პროვინციაში. თუ რომელსამე შუა-გულ რუსეთის გუბერნიაში ბლომადაა ქარხანა და ფაბრიკა, მაშინ ხაზინასაც იქ დიდი შემოსავალი უნდა ჰქონდეს გარდასახადებისაგან და ბაჟებისაგან, რომელიც გაწერილია ქარხანა ფაბრიკებზე და მათში მომზადებულ გასასყიდ საქონელზე; აქ რკინის გზასაც დიდი შემოსავალი ექნება, ვაჭრობაც გაძლიერებული. ამ შუა-გულ რუსეთის გუბერნიაში ჯარი ცოტა იქნება დაყენებული, რადგან სახელმწიფო ინტერესი ითხოვს, რომ ჯარი საზღვრებზე იყოს მიყრილი, განაპირა ქვეყანაში; მაშასადამე ამ გუბერნიის სახაზინო პალატაში შემოსავალი დიდი იქნება, გასავალი კი შედარებით მცირე.

1900 წ. თურქესტანში და კასპის გაღმა მხარეს (Закасп Обл.) ხაზინას შემოსავალი ჰქონდა $10^1/_2$ მილიონი მანეთი, ხარჯი-კი 27 მილიონი; ხარჯის სიდიდე გამოწვეული იყო რკინის-გზების გაყვანით და დიდ ჯარის შენახვით იმ ქვეყანაში. იმავ წელს ბაქოს გუბერნიაში შემოსავალი იყო 20 მილ. 677 ათასი მ., გასავალი-კი 6 მილ. 673 ათასი მ. ასეთი შემოსავალი მისცა ნავთის წარმოებამ, ნავთის აქციზმა. ერევნის პალატაში შემოსავალი იყო 4 მილ. 689 ათას; გასავალი-კი 10 მილ. 183 ათს., რაიც ისევ რკინის გზის ხარჯით და ჯარის შენახვით აიხსნება. ამ გვარად ყოველ სახაზინო პალატის რაიონში სახელმწიფო შემოსავალ გასავალს აბრუნებს უმეტესად ადგილობრივ წარმოების რაოდენობა და სახელმწიფოს ადგილობრივი ინტერესი. საქმე ისეა დაყენებული, რომ მთავრობა უპირველესად ყოვლისა ხარჯავს იმის მიხედვით კი არა, თუ რა ესაჭიროება ამ რაიონს, არამედ იმით, თუ მთელ სახელმწიფოს რა ინტერესი აქვს ამ რაიონში ფული დახარჯოს. როგორც ყველაფერი რუსეთის მთავარ-გამგეობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიც, სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი, ცენტრალიზაციაზეა გამოჭრილი. მთელი რუსეთის იმპერია სახაზინო პალატების რაიონებათაა დაყოფილი; ყოველ რაიონში რამდენიმე სამაზრო ხაზინაა; ამათ თავში უდგა ამ რაიონის სახაზინო პალატა; ხაზინები ექვემდებარებიან პალატებს, პალატები კი პეტერბურგის უმთავრეს სახელმწიფო ხაზინას. თავი პეტერბურგშია, ფესვები კი, რომლებიც ნიადაგს სწოვენ, მთელ იმპერიაშია გაშლილი. მთელ იმპერიის სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი, სახელმწიფო ბიუჯეტი, პეტერბურგში რიგდება. ტფილისის გუბერნიას ხაზინაში ყოველ წლივ 10 მილიონზე მეტი შეაქვს; ამ გუბერნიაში ერთგან მცხოვრებლებმა რომ ითხოვონ სადმე თუნდ ხიდის აშენება, ან გზის გაყვანა, ან სასწავლებლის დაარსება, ამაზე აქაურ მთავრობას უნდა სთხოვონ ამ 10 მილიონ შემოსავლიდამ ამის ასასრულებლად ცოტა რამ გროში გამოიღონ; აქაური მთავრობა პეტერბურგში გზავნის ამაზე თხოვნას და მხოლოდ იქიდამ მოდის დასტური ან უარი, აქაურ ხაზინიდამ, რომელშიც 10 მილიონი შევიდა, ფულის გამოტანაზე. ამ გვარად მთელ იმპერიის სახელმწიფო შემოსავალს, მოხვეტილს შუა-გულ რუსეთის გუბერნიებში, ციმბირში, პოლონეთში, ყირიმში, ამიერ-კავკასიაში და სხვაგან პეტერბურგში ანაწილებს და არიგებს ყოველ წლივ რუსეთის მთავრობა, რუსების უმაღლესი მთავრობა... თუ სად და რაში მიდიოდა უდიდესი ნაწილი ამ ყოველწლის შემოსავლისა ამ 50 წლის განმავლობაში, —ეს ჩვენ ოდნავ მაინც ვუჩვენეთ მკითხველს წინა წერილებში. რკინის გზების გაყვანა, სწავლა-განათლება (უმაღლესი და საშუალო სასწავლებელი), გულ-უხვი მფარველობა და დახმარება **отечественной промышленности**-სა და სხვა,—ყველა ეს შუა-გულ რუსეთს ერგო და ამაზე დაიხარჯა უმეტესად მრავალ-ათასი მილიონი. მართალია, განაპირა ქვეყნებშიც ძლიერ იხარჯებოდა ყოველთვის და ახლაც იხარჯება დიდ-ძალი ფული, მხოლოდ ეს უმეტეს ნაწილად ჯარების შენახვაზე მიდიოდა (მარტო ამიერ-კავკასიაში 2 კორპუსია დაყენებული); ადგილობრივი მოთხოვნილება ეკონომიური, კულტურული ჯერაც უცდის სხვა გვარ გარემოებას თვის დასაკმაყოფილებლად. სულ სხვა გვარად გასჭრიდა სამართალი, ამოდენა იმპერიის ბიუჯეტი ცენტრალიზაციას რომ ყოფილიყო მოკლებული. მაშინ მთელი იმპერია პროვინციებად დანაწილდებოდა, ადმინისტრატიულ თითოულობად; ყოველ მათგანს თავისი საკუთარი ბიუჯეტი ექნებოდა, რომლიდამაც ერთი წილი (მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით) იმპერიის საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (**на обще-государствен. потребности**) დაიხარჯებოდა, დანარჩენი კი ადგილობრივ საჭიროებას მოხმარდებაო.

ამიერი კავკასია, როგორც ვიცით, 4 სახაზინო პალატების რაიონებადაა დაყოფილი: 1902 წელს ამ პალატებს შემოსავალი და გასავალი ასეთი ჰქონდათ: *)

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| ბაქოს . | 25 მილ. 875 ათს. | 7 მილ. 69 ათს. |
| ერევანი . | 4 მილ. 495 ათს. | 11 მილ. 160 ათს. |
| ტფილისი | 10 მილ. 440 ათს. | 39 მილ. 547 ათს. |
| ქუთაისი . | 5 მილ. 563 ათს. | 6 მილ. 953 ათს. |
| სულ. | 46 მილ. 831 ათს. | 64 მილ. 732 ათს. |

*) იხ. «ივერია» № 156.

*) აქაც და წინა წერილებში ციფრებს ვიღებთ, სხვათა შორის, შემდეგ წყაროებიდან: ფინანსთა მინისტრის ყოველ-წლიურ მოხსენებიდამ სახელმწიფო შემოსავალ-გასავალზე, кассовый отчетъ Министерства Финансовъ, объяснитель-

მკითხველი ხშირად შეხვდებოდა ბავშვებს, რომელთაც დასივებული აქვთ ჯირკვლები ყბებს ქვეშ, იღლიებს ქვეშ და სხ. ეს ჯირკვლები ხშირად ჰლექის ბაცილლებისაგან არიან დასივებულნი. საიდან მიაღწევს ჰლექის ბაცილა ამგვარ ჯირკვლამდის. ბავშს ექნება კანი მცირეოდნად გაკაწრული ანუ დაზიანებული, აი ამ განაკაწრიდან გაიკვლევს ხოლმე გზას ჰლექის ბაცილლა, ჩავარდება ლიმფის ძარღვში და მიაღწევს კანს ქვეშ მდებარე ჯირკვალს, სადაც მოემწყვდევა. სტყდება ბრძოლა ჰლექის ბაცილლასა და ჯირკვალს შორის. ხან ბაცილლა სრულიად კვდება, ხან მხოლოდ ბჟუტავს. უკანასკნელ შემთხვევაში, საკმაოა დაზიანებული ჯირკვალი გაირღვეს, რომ ბაცილლებმა გაინთავისუფლონ თავი, გაიფანტნონ სხეულში და გაუჩინონ სადმე კაცს მწვავი ჰლექი.

არის კიდევ ერთი ადგილი, კარი, საიდანაც ადვილად იკვლევენ გზას ჰლექის ბაცილლები ჯირკვლებისკენ. ეს ადგილია სასა, უკეთ ვთქვათ, სასის გვერდები.

დამპალი, «ქიანი» კბილებიც ხელს უწყობს აგრეთვე ჰლექის ბაცილების გავრცელებას.

ამ გვარად, თუ კისრის და ყბის ქვეშ მყოფი ჯირკვლები არიან გადიდებულნი, უნდა ვიფიქროთ, რომ ჰლექის ბაცილებმა გაიკვლიეს გზა ან სასიდან, ან გაფუჭებულ კბილიდან ან თავის ან პირის მუწუკებიან ადგილებიდან და განაკაწრებიდან.

თვით კანი ფარია, ლობეა, რომელიც იფარავს ადამიანს, როგორც სხვა ფიზიკურ მავნებელ მოვლენათაგან, აგრეთვე დამასნეულებელ პატარა მცენარუკათაგან, სხვათა შორის, ჰლექის ბაცილებისაგან. მაგრამ, თუ კანი სადმე გაიკაწრა ან გაიბზარა, მასაც ედება ჰლექი. თუ, მაგალითად, ჰლექიანის ნახველი ან სხვა ბაცილებიანი ნივთიერება მოხვდა გაკაწრულ ან გაბზარულ ხელის კანს, ჰლექი ედება ან ხელის კანს, ან ხელის კანსაც და, შემდეგ, ლიმფის ძარღვების გზით, იღლიების ჯირკვლებსაც.

ხანდახან, ვინც ცხვირის ნეშტოებს იკირტნის ჰუჰყიანის თითებით, მას უჩნდება ჰლექი პირის გარეგან კანზე, აგრეთვე პირის და ცხვირის შინაგან კანზე.

წელებს და წელების ჯირკვლებს ჰლექი უჩნდება სხვა და სხვა გზით: 1) ჰლექიანი ჰყლაპავს თავის ნახველს, სავსეს ბაცილებით. თუ ეს ბაცილები კუჭის მომაკვდინებელ წვენს გადურჩნენ და უვნებლად მიაღწიეს წელებს, ადვილად აჩენენ წელების ჰლექს. 2) როდესაც ადამიანი სვამს ჰლექიან ძუძუებიან ძროხის რძეს, რადგან ამ გვარ რძეში მრავალია ჰლექის ბაცილა. ადუღებული რძე უფრო არ არის საშიში, რადგან ათი წუთის დუღილი სრულიად ხოცავს ჰლექის ბაცილებს. 3) ჰლექიან ძროხის ხორციც საშიშარია, მეტადრე თუ მოხარშვა აკლია. კარგად მოხარშული ხორცი ჰლექიანი საქონლისა კი არ არის საშიშარი, რადგან ხანგრძლივი ხარშვა სრულიად სპობს ჰლექის ბაცილებს.

მე აქ არ შევუდგები დაწვრილებით იმის განხილვას, თუ როგორ მიმდინარეობს ჰლექი წელებისა და, საზოგადოდ, შინაგან სხეულის-ნაწილებისა, კანისა, ჯირკვლებისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჰლექი, სხეულის რომელ ნაწილსაც უნდა გაუჩნდეს, ყოველთვის მძიმე სნეულებაა.

როგორც დამტკიცებულია, ყველაზე უფრო ხშირად კაცის ფილტვია ღია-კარი ჰლექისათვის, ე. ი. ფილტვს უფრო ადვილად და უფრო ხშირად ედება ჰლექი, ვიდრე სხეულის რომელსამე სხვა ნაწილს.

აძასთანავე წყარო, საიდანაც ვრცელდება ჰლექი, უმეტეს ნაწილად იგივე ფილტვია. ჰლექიანი კაცი გადასდებს ხოლმე ჰლექს საღ ადამიანებს თავის დასნეულებულ ფილტვის საშუალებით. არც რძე და ხორცი ჰლექიანი ძროხისა, არც შარდი და განავალი თვით ჰლექიანისა არ არის ძლიერ საშიშარი. კაცის ჰლექიანი ფილტვი,—აი ის ბუდე, საიდანაც ვრცელდება ეს საშინელი სენი ადამიანთა შორის. ერთის სიტყვით, ჰლექი თავდაპირველად გადადის ფილტვიდან ფილტვზე.

ექიმი ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

## გორის უფასო სამკითხველო.

1903 წლის 13 ივლისიდან 1904 წლის 1 აგვისტომდე.

მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ნებართვით დაარსებული უფასო სამკითხველო ქ. გორში საქართველოს საპარქიო გორის განყოფილების მიერ მოთავსებული იყო ადგილობრივ სამრევლო სკოლის შენობაში. სამკითხველოს 1903 წ. მოსდიოდა შემდეგი გაზეთები და ჟურნალები: «Кавказъ», ,,Тифлисскій Листокъ‘‘, ,,Новое Обозрѣніе‘‘, ,,ივერია‘‘, ,,ცნობის ფურცელი‘‘, ,,Мшакъ‘‘, ,,Новое Время‘‘, ,,Московскія Вѣдомости‘‘, ,,Русское Чтеніе‘‘, ,,Нива‘‘, ,,Русскій Паломникъ‘‘, ,,Мірокъ‘‘, ,,Родникъ‘‘, ,,Дѣтское Чтеніе‘‘, ,,Педагогическій Листокъ‘‘, ,,Народное Образованіе‘‘, ,,Письма къ Ближнимъ‘‘, ,,Журналъ для Всѣхъ‘‘, ,,ჯეჯილი‘‘, ,,Вѣстникъ Трезвости‘‘, ,,Церковныя Вѣдомости‘‘ და ,,Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата‘‘. 1904 წელს სამკითხველოს მოსდიოდა იგივე გამოცემანი, გარდა გაზეთებისა: ,,Новое Обозрѣніе‘‘, ,,Мшакъ‘‘ და ჟურნალებისა: ,,Русскій Паломникъ‘‘, ,,Русское Чтеніе‘‘, ,,ჯეჯილი‘‘, ,,Церковныя Вѣдомости‘‘, ,,Дѣтское Чтеніе‘‘ და ,,Педагогическій Листокъ‘‘.

ზოგიერთი დასახელებულ ჟურნალ-გაზეთთაგანი სამკითხველოს მოსდიოდა უფასოდ, ან მხოლოდ ხდილობდა გასაგზავნს ხარჯსა (,,Кавказъ‘‘, ,,Новое Обозрѣніе‘‘, ,,Мшакъ‘‘, ,,Народное Образованіе‘‘, ,,Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата‘‘, ,,Церковныя Вѣдомости‘‘), ზოგი ფას-დაკლებით: (Новое Время‘‘, ,,Московскія Вѣдомости‘‘, ,,Родникъ‘‘, ,,Дѣтское Чтеніе‘‘, ,,Педагогическій Листокъ‘‘); ზოგი კი სრულ ხელის მოსაწერ ფასად («ივერია», ,,ცნობის ფურცელი‘‘ და სხ.). სამკითხველოს შესანახად 1903 წ. შემოვიდა 106 მ. და 30 კ. (აქედან 100 მანეთი შემოვიდა გორის საქალაქო სამმართველოსაგან); დაიხარჯა (ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერში, მოსამსახურეზედ, გათბობაზედ, და განათებაზედ და წვრილმანი ხარჯი) 98 მ. 97 კ. 1904 წ. 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე შემოვიდა 71 მან. და 9 კაპ. (50 მანეთი ქალაქის სამმართველოსაგან); დაიხარჯა 33 მან. 80 კაპ. დაარსების დღიდან ამ წლის 1 აგვისტომდე სამკითხველოში შემოვიდა 5,500 კაცი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აგვისტო.

**ლხასსი.** ხმაა, რომ დალაი-ლამასთან არის რუსის დორჟიევი.

**შანხაი.** (რეიტერი) გამოცხადდა საზღვაო სასამართლოს განაჩენი ინგლისის გემის «გიპსანგის» დაღუპვის გამო. განაჩენში ნათქვამია, რუსის კონტრ-ნაღმოსანი, ვგონებთ, «რასტოროპნი», შეხვდა ინგლისის გემს «გიპსანგს», რომელსაც ფარნები გაჩაღებული ჰქონდა და ბაირაღი აფრიალებული. «რასტოროპნიმ» ყუმბარები ესროლა და რავდენიმე პასაჟირი დასჭრა და რავდენიმე მოჰკლა. «გიპსანგი» მაშინვე გაჩერდა, მაგრამ რუსებმა ნაღმი ესროლეს და ჩასძირეს გემი, რომელზედაც არავითარი კონტრაბანდა და არც ერთი იაპონელი პასაჟირი არა ყოფილა. სასამართლო თავის განაჩენში ვაჭრობისა და გარეშე საქმეთა სამინისტროებს იმაზე უთითებს, რომ „გიპსანგი“ სიფთხილით მოგზაურობდა, მაგრამ მაინც უმიზეზოდ ჩაღუპეს ზღვაში.

ინგლისის კონსულმა შეატყობინა რუსის კონსულს, რომ, ტაოტაის თხოვნისამებრ, ის მოსთხოვს, შეაჩერონ მუშაობა რუსის გემებზე 9 აგვისტოს შუადღისას; დოკის პატრონები განაცხადებენ მაშინ, რომ «ასკოლდი»-ს არ შეუძლიან გავიდეს, ხოლო შემდეგ მოუცდის მომავალს განაჩენსა, 11 აგვისტოს ტაოტაი თავისს წარმომადგენელს გამოგზავნის, რათა ოფიციალურად მოსთხოვოს ორივე გემებს იარაღის აყრა. «ასკოლდზე» სრულებით არა აქვთ საბრძოლველი მასალა.

**ჩიფუ.** (რეიტერი) 8 აგვისტოს ღამით ლიაოტეშანიდან ნავით მოსულებმა სთქვეს, იაპონელებმა, როგორც იყო, აიღეს იტშანი და კიდევ ერთი სიმაგრე, მდებარე მიახლოვებით ერთს კილომეტრზე სამხრეთ-დასავლეთად პირველ სიმაგრიდან. იაპონელებმა დასწიეს უკან რუსები სამხედრო-სავარჯიშო მოედნიდან და დაანგრიეს ორი ფორტი აღმოსავლეთ სიმაგრეების შიგნით. თითქმის ყველა შენობები პორტ-არტურში დაზიანებულია. იაპონელნი ზოგიერთჯელ ვერ იმარჯვებენ, რადგან ფორტებიდან საშინელს სროლას აუტეხენ და ამას გარდა დიდძალ ნაღმებს აფეთქებენ ხოლმე.

**ბათუმი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო საბჭომ დაადგინა, იმის სახელზე გამართოს სკოლა და აპატიოს 6700 მ. «ნედოიმკა» და გაჭირვებულთათვის თავშესაფარს დაერქვას ალექსის თავშესაფარი.

**ირკუტსკი.** გამოიარა დიდმა მთავარმა ბორის ვლადიმერის ძემ.—საბჭომ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო აპატიოვა ღარიბებს 25 ათასი მანეთი «ნედოიმკა».

12 აგვისტო.

**ბარსბენ.** რადგან შესაძლებელია ავსტრალიის ნაპირებთან გაჩნდენ რუსის კრეისერები, ბარსბენის მოვაჭრეებმა გადასწყვიტეს, სთხოვონ მთავრობას დანიშნოს კომისია, რომელმაც მიიღოს ღონისძიება დაცვისათვის.

**შანხაი.** (ჰავასის სააგ.). ფიქრობენ, რადგან ინგლისის კონსული დაჟინებით თხოულობს «ასკოლდსა» და «გროზოვოის» აჰყრიან იარაღს. რუსეთის საზღვაო სამინისტრომ მისცა ბრძანება რუსის კრეისერს «დიანას» საიგონში აიყაროს იარაღი.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო დეპარტამენტმა ცნობა მიიღო, ჩინეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ 15 აგვისტოს შუადღემდე ადროვა რუსებს, რომ თავიანთი სამხედრო გემები შეაკეთონ.

**ბერლინი.** (საკუთ. კორ.). როგორც ლიაოიანიდგან იუწყებიან, მთელი სამხედრო გეგმა იაპონელთა, როგორც ეტყობა, შესცვალა პორტ-არტურის მედგარმა წინააღმდეგობამ და რუსეთის ხმელეთის ლაშქრის ტაქტიკის შეცვლამ. რუსებს პირველად დაეტყოთ, რომ თავის ინიციატივით მოქმედებენ. როგორც «ბერლინერ ტაგებლატტი» იუწყება და «ლოკალანცეიგერ»-ი ლიაოიანიდგან, ვითომ მიკადოს გაუხმია გენერალი ნოგი და სარდლობა ლაშქრისა, რომელიც პორტ-არტურს არტყია, მიუნდვია მარშალ იამაგატასთვის.

**ლონდონი.** როგორც პორტ-არტურიდან ახლად მოსულ ამბებიდან სჩანს, იმედი არ არის, რომ პორტ-არტური მალე აიღონ იერიშით. სამის დღის იაპონელთა ფუჭად ჩაცვლილმა იერიშმა მეციხოვნენი გაამხნევა. პორტ-არტურთან იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ამ უკანასკნელ ორხის დღის განმავლობაში 20 ათასს კაცს ანგარიშობენ. უფრო დაზარალდა გვარდიის დივიზია.

**პეკინი.** (რეიტერი). ჩინეთის მთავრობა სცდილობს დაიყოლიოს იაპონია, რომ «ასკოლდი» 15 აგვისტომდე დარჩეს შანხაიში.

**ორიოლი.** ბრიანსკის ქალაქის საბჭომ დაადგინა, მემკვიდრის დაბადების გამო გამოაცხადოს უქვეშევრდომილესი მილოცვა და აპატიოს ღარიბებს 19,230 მან.

**რიაზანი.** დღის ორ საათზე მოსვენეს რიაზანის სადგურზე გენერალ კელლერის ცხედარი. კუბოს წინ, გუბერნიის უფროსისა, სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა, ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთა და ხალხის თანადასწრებითა, გადაიხადეს პანაშვიდი და შემდეგ ცხედარი გაიგზავნა განსვენებულის მამულში, ზარაის მაზრაში.

**კრემენჩუგი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად ადგილობრივმა საზოგადოებამ ღარიბ ებრაელთა დასახმარებლად გადასწყვიტა გამართოს უფასო პროფესიონალური სკოლა 200 ქალისათვის.

**გროდნა.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების სახსოვრად საბჭომ დაადგინა რეალურს სასწავლებელს ცესარევიჩი ალექსის სახელი დაერქვას, აპატიოს ღარიბებს 2 ათასი მანეთი და გამოუცხადოს მისს უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი.

**პეტერბურგი.** მოსკოვიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდანაც იწერებიან, რომ მემკვიდრე ცესარევიჩის ნათელ-ღების დღეს გადუხდიათ პარაკლისები.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობები შორეულ აღმოსავლეთიდგან 11 აგვისტოს არ მოსულა.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესადა ჰბრძანა დაარსდეს საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები ბრძოლის ველზედ გაწვეულ სათადარიგო და მილიციის ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლად. ეს წესები არ შეეხება ესტლიანდიისა და ლიფლიანდიის გუბერნიებს.

**მუკდენი.** (სააგ. საკ. კორ.). როგორც ჩინელები იუწყებიან, იაპონელებს ბენსიხუს ქვემოდ, 15 ვერსის მანძილზედ, გაუკეთებიათ ნავებზედ გადებული ხიდები, ალბად იმ აზრით, რომ მდ. ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზედ გადავიდნენ. დასავლეთის შუბლის ჯარში იაპონელთა პატარა რაზმები მდ. ლიაოხეს ზემოთკენ მიემართებიან.

**რეშტი.** რეშტში ხოლერა თანდათან ძლიერდება. ენზელში რამდენიმე შემთხვევა იყო ხოლერით სიკვდილისა.

**მერვი** (?). 51 კაცი ავად გახდა, 13 მოკვდა.

**ხერსონი.** ხერსონის საბჭომ დაადგინა, მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად აპატიოს ღარიბ მოქალაქეთ 10,000 მან. მათზედ დარჩენილი გადასახადი და მემკვიდრე ცესარევიჩის ალექსის სახელობაზედ საქალაქო სკოლის დასაარსებლად შეაგროვოს საჭირო ფული.

**რიბინსკი.** მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად რიბინსკის საბჭომ აპატიეა ღარიბ მცხოვრებთ 20,000 მან. მათზედ დარჩენილი გადასახადი საქალაქო სავაჭრომეურნეოში მეურნეობისათვის და დააარსა 10 სტიპენდია და ორი საქალაქო სკოლა მემკვიდრე ცესარევიჩის სახელობაზედ.

**ბერლინი.** უმოწყალესის მანიფესტის გამო „ნაციონალ ცაიტუნგი“ ამბობს, ამ მანიფესტით ნამდვილმა მეფურმა მოწყალებამ იჩინა თავი. ჭეშმარიტად კაცთ მოყვარე გრძნობა სულ მიჰმართავს უმაღლესის ტახტიდგან დამაშვრალთა და დაჩაგრულთ. ეს მანიფესტი მიეწერება მშვიდობის მოყვარე ხელმწიფე იმპერატორის საკუთარს თაოსნობასა.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი), ადმირალმა სტერლინგმა სხვა დროსთვის გადასდო თავისი გამგზავრება განილაში სადაც სეკტემბერში განზრახული იყო თოფის სროლის სწავლება. არ იციან, შანხაიში გართულებული საქმეთა ვითარება რამდენს ხანს მოითხოვს ამერიკის სამხედრო გემთა იქ დარჩენას.

---

საყურადღებოა, სხვათა შორის, აქციზის შემოსავალი, რომელიც ამაშია მოყოლებული და ახლა ცალკედ მოგვყავს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთის | 19 მილ. | | |
| სასმელების | 2 მილ. | 300 | ათს. |
| თამბაქოსი | 2 მილ. | 356 | ათს. |

გუბერნიებზე ეს აქციზის შემოსავალი ასე მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაქოს | 19 მილ. | 42 | ათს. |
| ქუთაისის | 2 მილ. | 306 | ათს. |
| ტფილისის | 1 მილ. | 927 | ათს. |
| ერევნის | — „ | 247 | ათს. |
| განჯის | — „ | 206 | ათს. |
| ყარსის | — „ | 35 | ათს. |
| ზაქათლის | — „ | 5 | ათს. |

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, ამიერ კავკასიაში ხაზინას მხოლოდ ბაქოს რაიონში აქვს გამორჩომა, სხვა რამ რაიონში-კი მხოლოდ ზარალშია. იმავ წელს მოსკოვის რაიონში და პოლონეთში შემოსავალ-გასავალი იყო:

| | შემოსავალი. | გასავალი. |
|---|---|---|
| მოსკოვისა | 126 მილ. 205 ათს. | 84 მილ. 420 ათს. |
| პოლონეთი (10 გუბერნია). | 136 მილ. 936 ათს. | 108 მილ. 300 ათს. |

პირველში შემოსავალი გასავალს სჭარბობს 41 მილ. 784 ათას მანეთით, მეორეში-კი 28 მილ. 636 ათასით. რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, აქ ხარჯი მეტია შემოსავალზე 17 მილ. 901 ათას მანეთით! მოდი და ნუ იტყვი ამას შემდეგ, რომ ამიერი-კავკასია სწორედ რომ მეტი ბარგია რუსეთის იმპერიისთვის, მძიმე ბარგი, რომელიც ყოველ-წლივ ამოდენა ზარალს აძლევს მთელ სახელმწიფოსა!.. ჩვენში ამას ხშირად გაიგონებს კაცი, ხოლოდ არავინ გაცლის ამას თავისი ახსნა მოუძებნოს. რაში ეხარჯება ხაზინას ყოველ-წლივ ეს 64 მილიონი ამიერ-კავკასიაში, რომელ ადგილობრივ საჭიროების დაკმაყოფილებას უნდება? სწავლა-განათლებას, გზების გაყვანა და მოვლას, მართვა-გამგეობას, ეკონომიურად გაჭირებულ გლეხ-კაცობის წელში გამაგრებას სხვა-და-სხვა საშუალებით, ხალხის ჯანმთელობაზე ზრუნვას, თუ რაში მიდის ამოდენა ფული და ყველა ამაზე იხარჯება სულ მცირე ნაწილი,—რამდენიმე მილიონი, დანარჩენი კი მიდის ჯარის შენახვაზე. მთელ იმპერიაში ჯარი ინახება ერთ მილიონამდე; ამიერ-კავკასიაში დაყენებული ჯარი ადის 100 ათას კაცამდე, რაიც შეადგენს მთელ იმპერიის ჯარის ერთს მეათხედს, ამიერ კავკასიაში 5 მილიონი მცხოვრებია, ე. ი. დაახლოვებით $^{1}/_{28}$ მთელ იმპერიის მკვიდრთა რიცხვისა. სახელმწიფო ბიუჯეტს ერთობა რომ არა ჰქონდეს და საპროვინციო იყოს, ისე როგორც ზემოთა ვსთქვით გაკვრით, ე. ი. ყოველ პროვინციას თავისი საკუთარი, ავტონომიური ბიუჯეტი რომ ჰქონდეს, მაშინ ამიერ კავკასიასთვის წლიურ შემოსავლიდამ უნდა გადაედო ჯარის შენახვაზე $^{1}/_{28}$ იმ ფულისა, რაც მთელ იმპერიის ჯარზე იხარჯება, ე. ი. დაახლოვებით 12 მილიონი ყოველ წლივ (რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ ყველა პროვინციები შეთანხმდებოდნენ, რო მთელ სახელმწიფოს ესაჭიროება არა ნაკლებ ერთი მილიონი ჯარის შენახვა). წლიურ შემოსავლიდამ (46 მილ.) 12 მილიონი ჯარზე წავიდოდა, დანარჩენი 34 მილიონი კი ადგილობრივ საჭიროებაზე დაიხარჯებოდა. ეს ითქმის ხარჯზე. რაც შეეხება იმას, თუ რამდენ შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს ამიერ-კავკასია, ამის წარმოსადგენად საკმარისი არაა ვიცოდეთ ის, თუ რა შედის ყოველ წლივ აქაურ სახაზინო პალატებში. 1 ფუთ შაქარზე აქციზი გაწერილია 1 მან. 75 კ. შაქრის მწარმოებელი ამას მყიდველს აწერს. ამ მწარმოებელმა კიევის ან რუსეთის სხვა რომელისამე გუბერნიის ხაზინაში 1000 ფუთზე 1750 მ. რომ შეიტანოს აქციზი და ეს შაქარი ამიერ-კავკასიაში რომ გაასაღოს, ეს 1750 მან. ამ შემთხვევაში მიცემული იქნება აქაურ მცხოვრებთა ჯიბიდამ. ასე იხდის ამიერ-კავკასია დიდ ბაჟს და გარდასახადს ყოველ საქონელზე, რომელიც რუსეთიდამ შემოდის. ამიერ-კავკასია ხომ ცნობილია, როგორც საუკეთესო მუშტარი შუაგულ-რუსეთის და პოლონეთის მექარხნე-ფაბრიკანტებისა. როგორ უჯდება ეს მუშტრობა ჩვენს ქვეყანას, ამისი წარმოდგენა ძნელი არ უნდა იყოს, თუ კი გავითვალისწინებთ იმას თუ, რა მოგებას იძლევა რუსეთის საფაბრიკო და საქარხნო წარმოება და აგრეთვე იმ ძალაზე-აწეულ გარდასახადებს, რომელიც გაწერილია ყოველ გასასყიდ საქონელზე. ნავთზე გაწერილია აქციზი 60 კაპ. თითო ფუთზე, თვით მწარმოებელს ფუთი 6 კაპეიკად უჯდება; 40 გრადუსიანი არაყი პატრონს უჯდება 80 კაპ. თითო ვედრა, ხაზინა-კი ზედ აქციზს აწერს 4 მან. 40 კაპეიკს. და ასე ყველაფერი ძალაზე აწეულ ფასად იყიდება მთელს რუსეთში; ერთი წილი ამისა ხაზინას მიაქვს და ერთიც მწარმოებელს. რა საქონელი მოდის რუსეთიდამ ამიერ კავკასიაში? თითქმის ყველაფერი. რა მიდის აქედამ რუსეთში? თითქმის არაფერი. ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სტატისტიკა ამას ნათლად მოწმობს, თუ გატანილ საქონელს ბაქოს ნავთი გამოვაკლეთ. 46 მილიონი შემოსავალი, რომელიც გამოანგარიშებულია აქაურ სახაზინო პალატებში, სულ მცირე ნაწილია იმისი, რასაც ამიერ კავკასია იხდის ხაზინის სასარგებლოდ და რუსეთის კაპიტალისტთა შესამატებლად...

ასე თუ ისე, ძებნა მაინც საჭიროა. ასე იქცევა ყოველი გაჭირებული. ძებნა საკუთარ ბიუჯეტისა, ძებნა დამოქნისა. საკუთარი ბიუჯეტი ცარცვა-გლეჯას საზღვარს დაუდებს; დამოქნა კი საკუთარ ბიუჯეტს გაადიდებს და ნიადაგს შეჰქმნის ამიერ-კავკასიაში საფაბრიკო-საქარხნო წარმოებისას... მანამ ამიერ-კავკასიაში იქნება მხოლოდ ისეთი წარმოება, რომელსაც ბუნების სიმდიდრე აძლევს გამორჩენას (добывающая промышленность,—ნავთი, მარგანეცი, ქვა-ნახშირი, მადნეულობა). გადამკეთებელი წარმოება (обрабатывающая промышленность) უდამოქნოთ ჩვენში ვერ გაჩნდება დიდი ხნის განმავლობაში, რადგან რუსეთის მწირ ქვეყანაში გაღატაკებული გლეხობა ამიერ-კავკასიის გლეხობაზე გაცილებით იაფად მიდის სამუშაოდ.

ა. გვერ—ძე.

ная записка къ отчету государствен. контроля და Першке: обзоръ отраслей промыщ. въ закавказскомъ краѣ 1901 г.

**პეტერბურგი**, წყნარ ოკეანეს ესკადრის უმცროსი ფლაგმანიესსენი დაინიშნა მისის უდიდებულესობის ამალაში, ხოლო სათარეშო გემ «გრომობოის» უფროსი კი—მისს უდიდებულესობასთან ფლიგელადიუტანტად. ორივენი თავ-თავიანთს ეხლანდელს თანამდებობაზედ დარჩებიან.

**პეტერბურგი**. რაკი სასტიკი ბრძანება იქმნა მიღებული, რუსეთის კრეისერებს ნება არ მიეცემათ დაიტვირთონ ნახშირით კაპის ახალშენის ნავთსადგურებში ცენტრალურ ადმინისტრაციის ნება-დაურთველად.

**კიოლნი**. „კიოლნის გაზეთი“ იუწყება, რომ ინგლისის კონსულმა, რომელიც შანხაიში იმყოფება, უბრძანა ინგლისის ნავთსაშენებელს, საცა «ასკოლდს» აკეთებდნენ, შეაყენეთ მუშაობა, რათა ნეიტრალიტეტი დაცულ იქმნასო. სხვა ნავთ-საშენებელნი შანხაიში არ არიან საკმაოდ მოწყობილნი გემების შესაკეთებლად. «ასკოლდს» თავის ძალ-ღონით გაუჭირდება შეკეთება.

**შანხაი**. (რეიტერი) ჩინეთის სამინისტრომ ოთხის დღის ვადა კიდევ მისცა რუსეთის გემებს შესაკეთებლად. მდგომარეობა გემებისა ძალიან გაჭირვებულია.

**საიგონი**. «დიანას» 28 ივლისს ბრძოლაში გვერდი შეუნგრიეს ვატერლინიის ქვეშ. დაჭრილია 23 კაცი, „დიანა“ შანდუნს მიდიოდა და მიმართულება გზისა უნდა შეეცვალა. ამ დროს შეჰხვდა იაპონიის 9 ნაღმოსანი. ცხრამ ცხრა ნაღმი ესროლა და ვერც ერთი ვერ მოარტყეს.

**ჩიფუ**. (რეიტერი) პორტ-არტურს ყუმბარებს უშენენ განუწყვეტლივ. ამ უკანასკნელს დღეებში გამოირკვა, რომ იაპონიის ყუმბარები, რომელიც ქალაქში სცვივა, დაპატარავდა. ეს იმის ნიშანია, რომ იაპონელებს შემოაკლდათ ყუმბარები. ყოველთვის, როცა კი მიყუჩდება ზარბაზნების გრიალი, რუსნი სცდილობენ ახალი ნაღმები ჩააწყონ მიწაში. იაპონელებმა უეცრივ გადასდეს მზადება პორტ-არტურის დაცემის დღესასწაულისათვის.

**ნიუ-ჩუანი**. (რეიტერი). იაპონელ მეციხოვნეთა უფროსმა ხაიჩენში წაიყვანა ჯარები სამხრეთად და გაჰგზავნა დასავლეთისაკენ რკინის გზით. ამ გზით გაიარა ამ უკანასკნელ ორ კვირაში 20,000 კაცმა.

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ჩიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა ამ წლის 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.)

#### ა) ტფილისიდან მიდის:

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23. წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

**ბათუმს**: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.) 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.)

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

**ბორჯომს**: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

#### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს 50 წ.); საქონ. სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

**ბათუმიდან**: 1) წრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.), საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს 9 წ. (10 ს. 7 წ.).

#### ბ) ბაქოდან გამოდის:

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5. შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 საღამოს 1 ს. 10 წ. (2 ს. 8 წ.)

#### გ) ბათუმიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.).

#### დ) ქუთაისიდან გამოდის:

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს 58 წ.); 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ზორაკანამდე**: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

---

### ს ა ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ე ბ ი:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

## განცხადებანი


ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების

ს ა მ თ ო ი ნ ჟ ე ნ ე რ

**ა. დ. მიხაილოვის და ამხ.**

### გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

**საერთო საზოგადო კრება**

ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გაღაეცეს სხვას. (3—6—2).

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ს. ბ. თოფურიას**

### სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მთავრ. ... ბის პრანც ალექსანდრე ოლდენბურგ... მეპარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დიდათა ... ივალით ავადმყოფთათვის, ... განყოფილებით და ქიმიო-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ბინა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამოცემანი:

### ვაი ჭკუისაგან

ა. გრიბოედოვისა, ლექსად თარგმნილი განდეგილისაგან.

ისყიდება აგრეთვე «წერა-კითხვის საზოგადოებაში» და «ცოდნის» წიგნის მაღაზიებში

### კატალოგი

წარმოსადგენად ნება-დართულ ქართულ პიესებისა.

### შექსპირის პიესები

თარგმნილები ივ. მაჩაბლის მიერ, რომელიც შეძენილი აქვს ქართ. დრამ. საზოგადოებას.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს. (4—4).

---

«ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკდემბრის პირველიდგან საჭიროა

### მასწავლებელი

«საზოგადოების» სკოლისათვის სოფ. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზრა). მასწავლებელს ექმნება ჯამაგირი თვეში 30 მან., ბინა და შეშა. მსურველმა უნდა წარმოადგინონ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები «საზოგადოების» გამგეობაში, (Тифлисъ, Общество Грамотности). (2—2).

---

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т—во Высшей парфюмеріи А. Ралле и К°

Одекалонъ „Кристаль“

---






ტფილ. გამოფენა.




### ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

**ა. ა. თუთაევისა**

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა ხაის ფერს ზეთით გადუსიდს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედავ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დაეთმობა პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთი ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადალო თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—11)

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა

### „ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

### დაარსებულია 1847 წელს

| | | |
|---|---|---|
| **მარითადი თანხა** | . . . . | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** | . . . . | **2.664.808 მან.** |

#### დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავ-მოძრავ ქონებისა.

გ) დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—45)

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა

### რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა

### პეტერბურგში

დაარსებული 1860 წელს

სთხოვენ მყიდველთ: **რეზინის კალოშებისა** ყურადღება მიაქციონ კალოშის ნიშანს:




განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხეში (ფაბრიკის ნიშანი). (60—32).


---

Дозволено цензурою Тифлисъ 11 августа 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи